სახალხო გაზეთი

№ 1052 სამშაბათი, 26 ნოემბერი 1913 წ. № 1052

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედინი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ სთვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газета" Почт. ящ. 190.

ეკატერინე, ნიკოლოზი და ექიმი **ივანე ასათიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, ფილტვების ანთებით, პირველი—დაუვიწყარი ასულის და დანარჩენნი—დის

ევგო გაბრიელ-ასათიანის ასულისას.

დაკრძალვა მოხდება ქ. ახალციხეში ოთხშაბათს, 27 გიორგობისთვეს. 832

მიხეილ სოლომონის ძე და ბარბარე მიხეილის ასული კაპანაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის, ხოლო მეორე საყვარლის დედის

ნინო სიმონის ასულის კაპანაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათზედ, საკუთარ ბინაზედ, ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზედ, № 21. დაკრძალვის დრო ცალკე გამოცხადდება. 833

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე.

დღეს, 26 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

უკანასკნელი დღეები ფალავნდთა. finale ჭიდაობა საჩუქრებზე.

დღეს ჭიდაობენ: მატჩი წერილით გამოწვეული ახალი მცხოვრები მასკით და ივ. კაინი (გირაო ათი თუმანი თვითეულისა). მასკას ჰპირდება მოიხადოს იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა დამარცხებულ იქმნა. კავკასიური ჭიდაობა—კოლია დიკონაშვილი და სეპნიკი. გადამწყვეტი ციკლი და ხაზარიე, რევანში—კოპიევი და ფონ. სანადო.

828 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქართველო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება **დამზადებული ტანისამოსისა.**

მამაკაცთა თვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები" და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

1491 პატივისცემით ძ-ნი პორტუგალოვისა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე. გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. შ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ვენერიულ სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკრო-ქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა; ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

სარატოვის მექარხენი

„ე. ე. მაიერ"-ის

სავაჭრო სახლი.

ტფილისი, ერევნის მოედ. „კავკაზის" სასტუმროს ქვეშ, ტელეფ. № 13—15.

ამით ვაუწყებთ ჩვენს პატივცემულ მუშტრებს, რომ წარსულ წელთა მიხედვით, გადავსწყვიტეთ მომავალ დღესასწაულებისათვის ჩვენის მუშტრებისათვის გავმართოთ

იაფი ვაჭრობა

მაღაზიაში მყოფ ყველა საქონლისა 20—30%-ს დაკლებით, ნოემბრის 25-დან 10 დღით, ესე იგი, 1913 წლის 5 დეკემბრამდე. 1607

ახალი კლუბი (საზამთრო თეატრი).

შაბათს, 30 ნოემბერს,

საოჯახო საღამო

„ახალ კლუბის" ორკესტრის მონაწილეობით და **ს. ი. პრესმანის** დირიჟორობით

გაიმართება **კონცერტი**

კომპოზიტორის ანატოლი ალექსის ძის ჭილაშვილის ნაწარმოებთაგან. კონცერტში მონაწილეობენ ქ-ნნი კოლოტოვისა, ბელოისა და ბ-ნნი გოფმანი, მელაშვილი, დოლმელაშვილი და სხ. ფასები პარტერში 3 მ.—50 კ.-დე, გალერეია 20—50 კ.-დე. დაწვრილ. პროგრამაში. **დასაწყ.** 8½ ს. 1486

საზამთრო ახალი კლუბი თეატრი

სამშაბათს, 26 ნოემბერს, 1913 წელს.

საოჯახო საღამო

პ. თ. ზარეჩნის დრამატიული დასის მიერ ქ-ნთ სტრუკოვისა, მანულოვისა, ბ-ნთ ბოროზდინისა, ტუგანოვისა, ტიხომიროვისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

კრეჩინსკის ქორწინება, კომედია 3 მოქმ. სუხოვო-კობილინისა.

ფასები: პარტერში 20—50 კ., გალერეია 10—30 კ. გალერეაში ყველას შეუძლიან შესვლა. სტუმრები კლუბში შესასვლელ ფასად იხდიან: კაცი 1 მ, ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. **დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს.** 1569

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდებ

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ქართლ. ცხოვრ. მარიამ დედ. ვარ.	3 მ.
საქართ. ისტორია ვახუშტისა,	2—
„ „ ბაქრაძისა,	1—
„ „ 1 ლი ნაწ. ბროსესი,	70 კ.
„ „ 2-რე ნაწ. „	70 „
ხახანაშვილი ალექსანდრე. ბატონ-ყმობა საქართველოში,	—50 „
იმერეთის მეფე სოლომონ მეორე,	—25 „
პარიზის ქრონიკა,	—30 „
Жизнь и дѣятельность Католикоса Антонія, I,	—40 „
Багратъ Епископъ Товроменійскій Древнѣйшіе предѣлы разселенія	1—
Грузинъ по Малой Азіи,	—60 „
Матеріалы по Грузин. агіологіи	—80 „
Правила VI Всел. Соб.	1— „
ხელთუფლიშვილი. Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи,	40 „
ხონელი Къ 100 лѣтію Крцанисской битвы,	—30 „

ახალი წიგნები:

ქართული ენისთვის ბრძოლა, თ. ჟორდანიასი,	—20 „
ისტორიული საბუთები წ. 2-რე ს. კაკაბაძე,	—85 „
ორი ლექცია, ბ. ხერხეულიძისა,	—30 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფო- ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკრო-ქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი.

წამლობა „606", „914". 1604

„ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ზამბახ. სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

აბშიხოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეიბაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 25—8.

ქ-ნ ნინო ჩხეიძის ბენეფისი.

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ტფილისის ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა ჟულავსკისა

ეროს და ფსიქეა,

6 მოქმ. თარგმანი ბაბილინასი.

მონაწილეობს მთელი დასი და სახალხო სახლის სცენის მოყვარენი.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი **საბენეფისოა.**

რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დამარცხებული რომი", „სინათლე", „დონ კარლოსი", „მარია სტიუარტი", „ჰამლეტი" და სხვ. 2599

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჭრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაზრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა.** ხელოვნური **პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშანდვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 საათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ქ. გორში

ექიმი (დოქტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

დოქტორი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი მეიფარიანი

იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. **ქუთაისი,** ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30,

ტელეფონი № 150. 1855

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამბალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathien. იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **ხემთონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
მ. ა. [illegible]. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი ითხელიშვილისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი [illegible] 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606“-ით 1462

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი მღვდელი ს. ა. ლეჟავა მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ალექსი** ამ დღეებში მცხეთას მიემგზავრება დედათა მონასტრის დასათვალიერებლად.

◆ **საქართველოს ეგზარხოსად ნამყოფ ინოკენტის** სახელწოდების დღის გამო დღეს ეგზარხოსის სასახლის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

◆ **არქიმანდრიტი ნაზარიოსი,** მონასტრების ბლაღოჩინი, ამ დღეებში ხირსის მონასტრის დასათვალიერებლად მიემგზავრება.

◆ **კომპოზიტორი ნ. ა. სულხანიშვილი** ბაქოდან ტფილისს დაბრუნდა. ამ მოკლე ხანში ქართულ თეატრში კონცერტს გამართავს. შესრულებულ იქნება განსაკუთრებით ის სიმღერები, რომელიც ამ ზაფხულს მოგზაურობის დროს ფონოგრაფით გადაიღო.

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის** საგანგებო კომისია მიემგზავრება 26 ნოემბერს ალიანის (გორის მაზრა) სახაზინო სანერგის მისაღებად.

◆ **ხორცის ნიხრი,** როგორც ვწერდით, 22 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ ერთის კაპეიკით გაადიდა იმის და მიუხედავად, რომ ამ ჟამად ქალაქში საკლავ საქონლის იშვიათი სიიაფეა. გუშინ კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა კეილმა მოიარა ქალაქის სხვა და სხვა ადგილი და დარწმუნდა, რომ საქონლის ფასი მართლაც მცირეა. ამის გამო გუშინ კომისიამ ისევ გააუქმა თვისი დადგენილება ნიხრის მომატების შესახებ.

◆ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** ამ ჟამად თავს უკედ გრძნობს. ავადმყოფი ექიმების სიტყვით ერთის კვირის შემდეგ ფეხზე წამოდგება.

◆ გაზეთების ცნობით, **საბიუჯეტო კომისიამ** განუხილავს კანონ-პროექტს, რომლითაც კავკასიის ქალაქთა საკრებულოებში მთავრობის [illegible] უნდა დაინიშნოს ხუთი ახალი თანამდებობა აუცილებელ წევრისა. შინგარევი, კადეტების სახელის კანონ-პროექტის წინააღმდეგი ყოფილა, მისის აზრით სრულებით მეტია ქალაქების საკრებულოში საადმინისტრაციო მეთვალყურეობის დაწესება. მემარჯვენენიც პროექტის წინააღმდეგნი ყოფილან და ამ საქმეში მეფის მოადგილის პოლიტიკა რუსეთისათვის შეუფერებლად ჩაუთვლიათ. კომისიას კანონ-პროექტი უარუყვია.

◆ **ცნობილი კამო პეტროსიანი,** რომელსაც სიკვდილით დასჯა მანიფესტის ძალით კატორღით შეუცვალეს, ამ ჟამად მეტეხის ციხეში ზის. იგი ამ ჟამად სწერს „შეშლილის წერილებს“, რომელშიაც აღწერს გერმანიისა და რუსეთის სულით ავადმყოფთა თავშესაფარებს.

◆ **გაფიცვის დღეებისთვის ტრამვაის დაჯარიმების** საკითხს ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისია ამ დღეებში განიხილავს.

◆ როგორც დეპეშათა სააგენტო იტყობინება ეკატერინოდარიდან, სადგურ „კავკაზსკაიას“ მახლობლად 20 შეიარაღებული ცხენოსანი **თავს დასხმია მეფის მოადგილის მამულს** და გაუძარცვავს. 11 კაცი მოუკლავთ, 6 დაუჭრიათ.

◆ **ქართლ-იმერეთის** უწ. სინოდის საქართვ. კანტორამ დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს საეგზარხოსო სამღვდელოებას, ბლაღოჩინების საშუალებით განუმარტონ ხოლმე სალოცავად მოსულ მლოცველებს, ნამეტნავად კი ეკლესიების დღეობებში და ქართველ წმინდანთა ხსენების დღეებში შეუსაბამობა და უხერხულობა ქეიფით დროს გატარებისა 2) ეთხოვოს გუბერნატორს, რომ პოლიციამ ნება არ მისცეს დღეობებში ეკლესიების გალავნებში ვაჭრობისა, ქეიფისა და სამუსიკო საკრავების დაკვრისა და განმარტებულ იქნას, რომ ეკლესიების გალავნები დანიშნულია ლიტანიისთვის და მას შინა შეკრებულ მლოცავთა მშვიდობით ყოფნისთვის; 3) ვალად დაედოს სამღვდელოებას, რომ ყოველივე დღეობის შესახებ შეატყობინოს ხოლმე პოლიციას ჯარიმის და დასჯის მუქარით ეკლესიის ეზოში ვაჭრობისა, ქეიფისა და სხვათა გამართვისათვის; 4) დაევალოს საექსარხოსოს ბლაღოჩინებს სასტიკად თვალყური ადევნონ ხოლმე ამ დადგენილების აღსრულებას და მსწრაფლად მოახსენონ ხოლმე თავის მთავრობას ყველა შემთხვევის შესახებ, მიიღონ ხოლმე თავისის მხრივ ყველა ღონისძიება, რომ ეკლესიებთან ყოველთვის დაცულ იქმნას წესიერება, და აგრეთვე თვითონ, ან მათი თანაშემწეები დაესწრნენ ხოლმე ამ დღეობებზე და 5) ეს დადგენილება ეუწყოს საექსარხოსოს მღვდელთ-მთავრებს, საქართველოს ეპარქიის ბლაღოჩინებს და ტფილისის გუბერნატორს.

◆ მიწათ-მოქმედებისა და მიწათმომწყობის (ამმართველოს კავკასიის რწმუნებულის განკარგულებით თანახმად, ჯიშიან ფრინველთა სახაზინო **საქათმე,** რომელიც წელიწად ნახევრის წინად დაარსდა კავკასიის საამრეწველო სადგურთან, ფრინველთა მომშენებელ კავკასიის საზოგადოებას გადაეცა მთელის შენობებით და იმ ფულით, რომელსაც ყოველწლივ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი აძლევს საქათმეს.

◆ **ოქმები.** სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა 22 ნოემბერს ქალაქის მესამე უბანში შვიდს კაცს შეუდგინა ოქმი სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

◆ რკინის გზათა კომისიაში, როგორც პეტერბურგის გაზეთი გადმოგვცემს,—დემჩენკოს წინადადება შეუტანია, რკინის გზათა მოსამსახურების საპენსიო კასის კონებათა გასაძლიერებლად ხაზინამ გადასდოს ჯამაგირის 6% და გარდა ამის ის თანხა, რომელიც შემოდის საპერონო ბილეთებისაგან და რესტორან ვაგონებისაგან. დემჩენკოს წინადადება კომისიამ მიიღო.

◆ **ბერლინიდან დეპეშათა სააგენტო** გვაცნობებს: რუსეთის შემსწავლელ საზოგადოებაში ინჟენერ ალტფატერს მოხსენება წაუკითხავს ყირიმსა, ვოლგის მხარეს და კავკასიაზე. ალფატერს უმოგზაურნია აღნიშნულ ადგილებში და თვისი შთაბეჭდილებანი მოხსენებად წარუდგინა საზოგადოებას. საზოგადოების კრებას ბევრი ხალხი დაესწრო და მოხსენება დიდის გულისყურით მოისმინეს.

◆ ხმა დადის, ვითომც **იმერეთის ეპისკოპოზი უ-დ სამღვდელო გიორგი** თანამდებობიდან გადადგომას აპირებდეს.

◆ კვირას, 44 ნოემბერს, **საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ** დარიის (ფერისცვალების) მონასტერი დაათვალიერა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრება.** 24 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, „ახალ კლუბის“ დარბაზში, გ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით ოქმების შესწორების და დამტკიცების შემდეგ კრებამ დაასრულა ანგარიშების განხილვა. ანგარიშები დამტკიცდა. კრება გადავიდა ინსტრუქციის განხილვაზე და მის შესახებ მოხსენების წაკითხვაზე. ინსტრუქცია საჭიროა თუ არა, ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი იმ აზრის იყო, რომ ინსტრუქცია ეწინააღმდეგება საზოგადოების წესდებას, ამიტომ მისი მიღება შეუძლებელია. იმის მაგიერ საჭიროა გამგეობის წევრთა რიცხვი გაძლიერებული იქმნას, და გამგეობის წევრებს ჯამაგირიც დაენიშნოს. მაგრამ უმეტესობამ ჯამაგირების დანიშვნა შეუძლებლად სცნო. აგრეთვე ინსტრუქციის განხილვა საჭიროდ და გადავიდა ინსტრუქციის მუხლ-მუხლად განხილვაზე. მიღებულ იქნა ცოტაოდენი შესწორებით და დამატებებით თექვსმეტი მუხლი. დანარჩენი მუხლების განხილვა გადაიდო შემდეგ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია მომავალ კვირისთვის.

◆ **კავკას. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** მესაქონლეობის სექციის კრება 22 ნოემბერს გ. გ. შადინოვის თავმჯდომარეობით მოხდა. სექციამ დაადგინა: 1, 2 და 3 ივნისს, 1914 წელს განჯის გუბერნიის სოფელ სლავიანკაში გამართოს გამოფენა-აუქციონი მეწველე საქონლისა. სექციამ ამასთანავე დაადგინა, გამოფენა-აუქციონის ხარჯად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს 2,000 მან. სთხოვოს. სექციამ შეიმუშავა გამოფენის პროგრამა და ექსპერტიზის წესები. გამოფენაზე შემდეგი ჯილდოები მიეცემათ: სამი დიპლომი ოქროს მედლის მისაღებად, 12 ვერცხლის პატარა მედალი, 18 ბრინჯაოს მედალი და 30 ქების ფურცელი.

ქუთაისი.

◆ პეტერბურგიდან თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას ევგ. გეგეჭკორის სახელობაზე ქუთაისის გუბერნიის **დაშეულთა სასარგებლოდ** ასი თუმანი გამოუგზავნია.

◆ სადგ. სუფსასთან მატარებლების დაჯახების დროს დაშავებული მემანქანე **შენგელია** გარდაიცვალა.

◆ **„ერის“ რედაქცია** აცხადებს, რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ბ-ნ ნესტარის წერილები „ეროვნული საკითხი“ ველარ დაიბეჭდება.

◆ მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტი სოფ. ფარცხანაყანებში **საცდელ ვენახს** აშენებს. ეს საქმე მინდობილი აქვს მევენახეობისა და მეღვინეობის სპეციალისტს ბ-ნ ბერეკაშვილს.

ფოთი

◆ რუსეთის სავაჭრო-სანავოსნო საზოგადოების **მუშათა გაფიცვა** დასრულდა.

ზუგდიდი

◆ სინოდმა იმერეთის სასინოდო კანტორას გადასცა 1500 მანათი, არკადი ვაკულოვსკი დოპჩინსკის მიერ შეწირული, რომლითაც უნდა აშენდეს ეკლესია.

გორი.

◆ მომავალი წლის პირველ იანვრიდან არსდება ქალაქის თავის **მეორე თანაშემწის ადგილი.** პარასკევს, 22 ნოემბერს, ამ თანამდებობაზე ქალაქის ხმოსნებმა აირჩიეს **ალექსანდრე ივანეს ძე მელიქიშვილი.** ჯამაგირად დაენიშნა 65 მ.

◆ წ.-კ. საზ. სამკითხველოში ზოგიერთი გაზეთი სულ არ მოდის, თუმცა გამოიწერეს (მაგ. „თემი“, „ხმა კახეთისა“), ზოგიც მოდის უსწორ-მასწოროდ. დროა ჩვენმა რედაქციებმა მოაგვარონ პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გზავნა.

◆ ქალაქის გამგეობამ ხორცზე ფასი დააკლო, რადგან საკლავ საქონელზე ფასმა დაიწია და ახალი ნიხრი გამოსცა. ამ ნიხრით პირველი ხარისხის ძროხის ხორცი ღირს 11 კ. ცხვრისა 13 კ., ღორისა 13 და კამეჩისა 9 კ. მაგრამ ყასბები ძველ „ტრადიციას“ არა ჰღალატობენ და ხორცს ისევ ნიხრის გარეშე ჰყიდიან 12—13 და 14 კაპეიკად. რიგიან ხორცს მაინც იძლეოდნენ. გირვანქაზე ნახევარი „დავესკა“ უნდა გამოატანონ. ქალაქის გამგეობა სთხოვს მცხოვრებთ—ნუ გადაიხდით ნიხრში აღნუსხულ ფასზე მეტს და ყასბის მიერ ნიხრის დარღვევა შეატყობინეთ პოლიციასთ. საჭიროა სასტიკი მეთვალყურეობა დაევალოს ბაზრის მეთვალყურეს და ყოველ დროს სასტიკი ზომებით უპასუხოს ყასბების თავგასულობას.

◆ როგორც მოსალოდნელი იყო ქათმის ჭირმა აქაც იჩინა თავი. აურებელი ქათამი იმუსრება, პატრონი არავინა სჩანს.

სოფლად.

◆ **ქარელი** (ქართლი). ამას წინად ერთი უცნობი ინჟენერი ყმაწვილი ჩამოვიდა ქარელში და თან რაღაც თეთრი ქვა ჩამოიტანა, ასეთი კირი (უფრო ალიფასტრი იყო) ყოფილა თქვენში და ის ადგილი მიჩვენეთო. გადმოგვცეს ვითომც ეს უცნობი მანთაშევის დავალებით ყოფილიყოს გამოგზავნილი. ამბობენ ო-დმა ცაციშვილებმა ამ მადანის ადგილი უჩვენესო.

◆ **ს. ყალამშია** (ბორჩალოს მხარე). 22-ს ამ თვეს, ღამის 3 საათზე ვიღაც ბოროტგანმზრახველმა ცეცხლი წაუკიდა ძმათა (6 ძმაა) დაუთაშვილების თივას; დაიწვა თივა, ბზე და ხის მასალა; ზარალი 800 მანეთს აღემატება; კიდევ მადლობა ღმერთს, რომ იმ ღამეს ქარი არ იყო, რაც აქ ხშირი მოვლენაა, თორემ მთელი სოფელი გაეხვეოდა ცეცხლის ალში.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სახელმწიფო სათათბიროს წევრმა გელოვანმა ინახულა პიროგოვის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე და ესაუბრა დასავლეთ საქართველოში შიმშილობის გამო. დეპუტატს დიდი დახმარება აღუთქვეს.

ჩემი პასუხი *)

პოლემიკა, უმეტეს შემთხვევაში, დროს დაკარგვაა და ამიტომ არ მიყვარს. გულის წყრომა, თავმოყვარეობა, აღელვება ხშირად წინ ეღობება სიმართლის გამორკვევას და არც ერთი მხარე არ იტყვის: შემცდარი ვარო.

ამიტომ თუ კალამს ხელში ვიღებ, არა საპოლემიკოდ, არამედ იმიტომ, რომ „მერცხლის“ მიერ დასმულ კითხვებზე გულ-ახდილად და გაუბრაზებლად პასუხი მივსცე.

უმალ მინდა, ზოგიერთი ბრალდება ავწონ-დავწონო.

„მერცხალი“ ბრალსა მდებდა: გომართელი იმიტომა სწერს ასე, რომ ფედერალისტებს თავი მოაწონოსო და სხვა. საზოგადოდ მე არასოდეს არა მქონია სურვილი, რომ ვისმე თავი მოვაწონო. სიმართლე და გულწრფელობა მიყვარს და გულახდილად ვაღიარებ მას, რაც სიმართლედ მიმაჩნია. ამას ზოგი მომიწონებს, ზოგი დამიწუნებს, ზოგი არა,—ეს ჩვეულებრივი წესია.

აგრეთვე სრულებით არა მაქვს ჩვეულებად ვისმე ტალახი ვესროლო. „მერცხალმა“ ისეთი ტალახი მესროლა დაუფიქრებლად, მარტო გულისწყრომის აყოლით, რომ მე უფრო მეტი საბუთი მქონდა ამის შემდეგ, გულისწყრომას მეც ავყოლოდი, მაგრამ ასე არ მოვიქეცი და მოკლედ ავუხსნე: თუ რისთვის ამითვალწუნეს ასე. ეს ხომ ტალახის სროლა არ არის.

ჩვენს წრეში აზრთა სხვადასხვაობისათვის არავისა სდევნიანო, სწერს „მერცხალი“. ნეტავი მართლა ასე იყოს! გარწმუნებთ, ყველაზე უფრო მე გამეხარდებოდა: მოიგონეთ მარტო დარჩიაშვილი, როგორ შეუკარით მას ყოველგვარი გზა ამ აზრთა სხვადასხვაობისათვის…

კარგად მესმის, რომ აზრთა სხვადასხვაობას საზღვარი უნდა ჰქონდეს. თუ ადამიანი მოძღვრების მთავარ დებულებას—მეცნიერულ საფუძველს—სრულებით უარჰყოფს, ეს ისეთი „სხვადასხვაობაა“, როცა ერთად ყოფნა და ერთად მუშაობა შეუძლებელია. დანარჩენში აზრთა სხვადასხვაობა აუცილებელია და საჭიროც არის; უამისოდ ყოველი ჯგუფი ერთ წერტილზე გაიყინება, მოდუნდება და მოკვდება.

როდის იყო, რომ მოძღვრების მთავარ დებულებათა წინააღმდეგ გავილაშქრე?

რატომ ეს კითხვა არ დაუსვეს „მერცხალმა“ და „ფიქრმა“ თავის თავს, როცა ჩემს წინააღმდეგ ისე გამოილაშქრეს, როგორც არ უნდა გამელაშქრათ.

იყო ერთი მაგალითი—ჩემი წერილი ქუთათურ გაზეთში ამ რამოდენიმე წლის წინედ. ამ წერილის ზოგიერთი ადგილები მართლაც ეჭვს ჰბადებდენ ჩემი შეხედულების შესახებ მთავარ დებულებათა ზოგიერთ მხარეზე; მაგრამ შემდეგში მოძღვრების მთავარ დებულებათა წინააღმდეგ არსად არა მითქვამს რა, არც დამიწერია. რომ შემცვლოდა აზრი, ვარწმუნებ „მერცხალს“, არავის მოვერიდებოდი. ყველაფერი შეგიძლიანთ სთქვათ ჩემს შესახებ, ხოლო ჩემი რწმენის ასპარეზში რომ „ლაჩარი“ არა ვარ, როგორც „მერცხალი“ აცხადებს, ამას თვითონ „მერცხლის“ შეუფერებელი კილო ამტკიცებს.

მაშ რა იყო?

როგორც კი ვიტყოდი რამე და შემატყობდენ ჩემი თანამოაზრენი, რომ ეროვნულ კითხვაში მე უმრავლესობის აზრს არ ვიზიარებდი, მამაშინათვე ყელში მეცემოდენ და მიკიჟინებდნენ: მოღალატე ხარ, შენს რწმენას ფეხით სთელავო და სხვა და სხვ.

ეს არის აზრის თავისუფლება?

„ფიქრი“ მიკიჟინებს: გომართელს გეგეჭკორის გაშავება ძალიან გაჰხარებიაო.

მართლა რომ ასე იყოს, გიჟი ხომ არ ვიყავი, რომ „მერცხლისა“ და „ფიქრისათვის“ თავი მიმეშვირა შესამკობად? ვიქნებოდი ჩემთვის გაჩუმებული და სიამოვნებით ხელებს დავიფშვნეტდი.

საქმე იმაშია, რის დანახვასაც ორივე გაზეთს გახელებული გული უშლის. რომ მეწყინა გეგეჭკორის გაშავება, სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ; მინდა, რომ მეორედ აღარ განმეორდეს ამისთანა შეცდომა.. მაგრამ ნათქვამია, კედელს ცერცვი შეაყარეო.

ახლა მივმართავ კითხვებს.

1. რაში გამოიხატა მესამე დასელების მიერ ნაციონალური კითხვის აბუჩად აგდება?

იმაში, რომ ამ კითხვას ისინი ჯერ სრულებით გვერდს უხვევდნენ, შემდეგ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. ინტერნაციონალიზმი მათ კოსმოპოლიტიზმად გადააქციეს.

აიღეთ პირველი არჩევნები. ნაციონალური საკითხი სრულებით გამოურკვეველი იყო მაშინ დასში. მე წარმოგიდგენთ ნამდვილ სურათს.

„ევროპის“ სასტუმრო პეტერბურგში. მაგიდას უსხდნენ ილია ჭავჭავაძე, პროფ. ცაგარელი, ის. რამიშვილი, სერ. ჯაფარიძე, ივ. გომართელი, ნოე ჟორდანია და დავით სარაჯიშვილი გახზე ლაპარაკობენ გერმანულად.

ილია ჭავჭავაძე, ბ-ნო ისიდორე! რა გაქვთ ავტონომიის წინააღმდეგ?

ის. რამიშვილი. ჩვენ არა ვართ ავტონომიის წინააღმდეგი, მაგრამ ხალხს ეგ ჩვენში არსად არ მოუთხოვია. თუ კი ხალხი მოითხოვს, ჩვენც არ ვიქნებით წინააღმდეგი.

ილ. ჭავჭავაძე. ბ-ნო ისიდორე, ეგ სადაურია, ხალხს არ მოუთხოვიაო. თქვენ იმისი მეთაურები ხართ, რომ ხალხს აუხსნათ, მიაწოდოთ ის, რაც მისთვის საჭიროდ მიგაჩნიათ და არა უკან მისჩანჩალებდეთ მას,—აბა ხალხი რას მოითხოვს, რომ ჩვენც ის გავიმეოროთო.

ამ დროს პროფ. ცაგარელი ჩაერია ლაპარაკში, მიგვითითა ისტორიულ უფლებებზე და სხვ.

რისთვის მოვიყვანე ეს სურათი?

იმის გასაშუქებლად, რომ მაშინ ეროვნული საკითხი ჩვენ არ გვქონდა გარკვეული.

რომ ეს კითხვა არც შემდეგ გარკვეულა, ამას ამტკიცებს ბ. ნარიძის უკანასკნელი წიგნიც. ამ წიგნში ნარიძე პირდაპირ ამბობს: ამხანაგებში ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, ამბობდენ, ეროვნული საკითხი ბურჟუაზიის და ნაციონალისტების საკითხია, დიე იმათ არკვიონ და სხვ. და სხვ.

ნარიძე იმასაც ამბობს, ამით ჩვენ ბევრი წავაგეთ, მტერი მომზადებული გამოვიდა, ჩვენ კი მოუმზადებელი დაუხვდითო და სხვ. და სხვ.

რომ ჯეროვანის ყურადღებით ამ საკითხს არც ახლა ეპყრობიან, იქიდანაცა სჩანს, რომ ნარიძის წიგნის შესახებ თანამოაზრეებში ხშირად გაიგონებთ: გადაამეტა, გადააჭარბა, შორს წავიდაო.

ნარიძე აქცევს ამ საკითხს ყურადღებას, იმიტომ რომ ჰხედავს იმის დიდმნიშვნელობას ჩვენს ცხოვრებაში. ხოლო თანამოაზრენი არ აქცევენ. თუ აწი მიაქცევენ და საბოლოოდ გადაჭრიან, ვარწმუნებ „მერცხალს“, რომ სხვაზე ნაკლებ მე არ გამეხარდება.

2. რად იყო ტფილისის გამარჯვება დამარცხებაზე უარესი?

თუ კერძო ადამიანის ან მთელი ჯგუფის მოქმედება ზნეობრივ სიფაქიზეს მოკლებულია, ამგვარი მოქმედება დასაგმობია. აკი უკიჟინებს „მერცხალი“ ფედერალისტებს „საარჩევნო ხულიგანობას“!

მაშასადამე მოქმედებაში რომ ზნეობრივი ელემენტი დავიწყებული არ უნდა იყოს, ამას „მერცხალიც“ არ უარჰყოფს და არ ამტკიცებს: გასამარჯვებლად ყოველ-გვარი საშუალება კარგიაო.

სოლოლაკის მდიდრებს რომ ჩვენთვის კენჭი არ მიეცათ, ვერ გავიმარჯვებდით.

მერე ვინ არიან სოლოლაკის მდიდრები?

ჩვენი მეზობელი ერის ის ნაწილი—უკიდურესი შოვინიზმით გაჟღენთილი,—რომელიც დღე და ღამე მშრომელი ხალხის მომავალზე და ქართველი ერის ბედ-იღბალზე ჰფიქრობს!!!

და ამიტომ გვაძლევს თურმე ჩვენ თეთრს!

ჩემთვის ცხადია, და სხვისა სხვამ იცის, რომ სოლოლაკის ბურჟუაზიამ ჩვენ გაგვხადა თვისი ვიწრო შოვინისტური მისწრაფების სათამაშო ბურთად. აი ამგვარ ელემენტთან შეკავშირებას ჩემი გული ვერ შეჰგუებია და ვერა.

ამგვარი ელემენტის შემწეობით გამარჯვებას მე დამარცხება მირჩევნია.

შეიძლება მიპასუხონ: იმათ დახმარებას ფედერალისტებიც არ დაიწუნებდნენო.

შესაძლებელია, მაგრამ მით უარესი ფედერალისტებისათვის, თუ სოლოლაკის ბურჟუაზიის მარჯვენას ჩამოეკიდენენ

3. მესამე კითხვა ეხება გეგეჭკორის დამარცხებას.

ცხრაას ექვსში ჩვენ ვიყავით ძლევა მოსილნი. ჩვენი წარმომადგენლები დიდის ხმის უმეტესობით გავიდნენ.

გავიდა რამოდენიმე წელიწადი და რასა ვხედავთ? ერთ მხარეზე ძლიერი ჯგუფი და სახელმოხვეჭილი ნიჭიერი, უკვე კარგად ცნობილი დეპუტატი; მეორეზე კი სულ რამოდენიმე წლის წინად ფრიად სუსტი ჯგუფი და სრულებით უცნობი, უსახელო პირი, (ვარ. გელოვანი). რა მოხდა?

ის, რაც ფარაონმა სიზმარში ჰნახა: გამხდარმა ფურმა მსუქანი გადაყლაპა—გელოვანმა გეგეჭკორი დაამარცხა!

ვინც გეუბნებათ: ეს „ფედერალისტების საარჩევნო ხულიგანების“ შედეგიაო, გარწმუნებთ, საქმის ვითარებაში ღრმად არ იხედება.

რატომ წინანდელი არჩევნების დროს ვერ გაიმარჯვეს ფედერალისტებმა, „ხულიგანობით“? რაღა მაინც და მაინც მაშინ გაიმარჯვეს, როცა ეროვნული საკითხით ხალხი დააინტერესეს და ამ საკითხის გარეშემო თანამოაზრეთა რიცხვი გაიმრავლეს?

რატომ არ უჯერით ნარიძეს, როცა ის თავის უკანასკნელ წიგნში გეუბნებათ: ეროვნულ საკითხს დიდი საპროპაგანდო და საორგანიზაციო მნიშვნელობა აქვს, მტერი მომზადებული გამოვიდა, ჩვენ მოუმზადებელი დავუხვდით და ამიტომ ბევრი წავაგეთო, (სამწუხაროდ ამ ჟამად წიგნი ხელთ არა მაქვს, რომ სიტყვა-სიტყვით ამოვსწერო) და უჯერით მათ, ვინც განუგეშებთ შეუგნებლად: ეს „ფედერალისტების ხულიგანობის“ შედეგი იყო, თორემ ჩვენ გავიმარჯვებდითო?

თუ ასე მოვიტყუეთ თავი და საქმის ვითარებაში ღრმად ჩახედვის მაგიერ გულის წყრომას ავყევით, მომავალშიაც დავმარცხდებით.

მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო, ნათქვამია („თემი“)

ივ. გომართელი.

საგულისხმო გახსენება

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ ჟამად დასელთა პრესა ბ. ი. გომართელს ჯვარს აცვამს. მერე რა დააშავა ისეთი გომართელმა, რომ მისი თანამოაზრენიც კი არ ინდობენ და ასე საშინლად აწამებენ მას? თვით გომართელი ამბობს თვის საბრალმდებლო ოქმში, რომ პირველი მისი მიუტევებელი დანაშაულობა იყო გლეხთა მიერ თავად-აზნაურობის მიწების შესყიდვას ქადაგება. აი რასა სწერს გომართელი: „ამ ხუთიოდე წლის წინად გავბედე და ვთქვი ქუთათურ გაზეთში: მოძრაობამ ჩვენი მოლოდინი არ გაამართლა მიწების შესახებ და ვილონოთ რამე, რომ გლეხობამ თავად-აზნაურობის მიწა-წყალი ხელიდან არ გაუშვას მეთქი“.

აი ეს იყო მთავარი მიზეზი გომართელის მოღალატეობისა, რენეგატობისა და სხვა. ეს განცხადება იტყიცა დასელთა გაზეთმა „მერცხალმა“. ჩვენ წინადვე ვიცოდით, რომ გო-

---

*) საჭიროდ დავინახეთ ბ-ნ ივ. გომართელის ამ წერილის გადმობეჭდვაც, რადგანაც საკითხი, რომელსაც ავტორი ეხება, ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია. **რედ.**

მართლის სიტყვა მოშხამულ ლახვარივით დაესობოდათ დასელებს გულში; მაგრამ იმის მოლოდინი კი არ გვქონდა, ამ წერილს ისე აებნია მათთვის დავთარი, რომ დაჰვიწყებოდათ ყოველი თვისი სიტყვა წინად ნათქვამი, ანგარიში არ გაეწიათ თვის წარსულ მოქმედებისათვის. დასელები, ცხოვრების მიერ დამარცხებულნი, პოზიციას პოზიციაზე ჰკარგავენ, უკან იხევენ. ასე დაემართათ აქაც. მათ გომართლის განცხადებაზე გაწიწმატებით ბრძანეს: „ტყუილია, მიწების შეძენა ჩვენმა გაზეთმა არა ერთხელ და ორხელ ურჩიეს გლეხებს და ცხადია, რასაც თვითონ ურჩევდით თქვენ ამისთვის არავინ გაგლანძღავდათ“. (იხ. „მერცხალი“ № 93).

ამ გადაჭრილ განცხადებას კბილი გაუსინჯოთ და ვნახოთ, ვინა სტყუის—გომართელი თუ „მერცხალი“?

როდესაც ჩვენს თვალწინ ტერიტორიის საკითხი მთელი თავისის საშინელებით გადაიშალა, როდესაც ეროვნულს სიმდიდრის დაკარგვამ გვაჩვენა ბასრი ბრჭყალები და დაგვიხატა ჩვენი მომავალის უნუგეშო და უფერული პერსპექტივა, ჩვენი დასელები რას ამბობდნენ? როგორ გასცეს პასუხი ამ ყურთულეს პირველხარისხოვან საკითხს ცხოვრებისას?

გეკითხებით: როდესაც ესეთი საკითხი წამოიჭრება ხოლმე ცხოვრებაში, როდესაც ერის უუგრძნობიარეს ნერვებს შეახებს თავის ხელს და საშინელ ტკივილს გამოიწვევს, მოვალე არის თუ არა, პარტია თუ მიმართულება ამ მოვლენას ანგარიში გაუწიოს, მით უმეტეს, რომ იგი ერის ბედნიერებასა და წინასწარმეტყველობას ჩემობს? უეჭველია, მოვალეა. მერე რა სთქვეს მათ ამ განწირულების ჟამს? ისინი სდუმდნენ.

ამ საშინელ დროს თვით დუმილიც დანაშაულობაა.

არ ვიცი იგრძნეს თუ არა ეს დანაშაულობა დასელებმა, გაიგეს თუ არა, რა საშინელი და მკაცრი ირონია წარმოუვლინა განგებამ მათ სახით საქართველოს; მაგრამ ის ვიცით, დასელებმა დუმილი დაარღვიეს, დაიწყეს ლუღლუღი, და ამ ლუღლუღში რა არ წარმოსთქვეს, ღმერთო გვიხსენი! ხეტავ ისევ დადუმებულიყვნენ!

დასელთა პრესაში ამ საკითხის გამოსარკვევად გამოვიდა ნ. ჟორდანია. ამ საკითხზე დასწერა წერილი „მიწების ყიდვის შესახებ“. ნ. ჟორდანია სწერს: „ბაზარზე გამოტანილია მრავალი მამულები (?) გასაყიდათ და გლეხებს ეპატიჟებიან, იყიდეთო. გლეხობამ კი არ იცის, რა ჰქნას, იყიდოს თუ არ იყიდოს, ფული გამოიღოს თუ უცადოს იმ დროს, როცა ეს მამულები, შესაძლებელია, სულ მუქთად დარჩეს. ამ ორ აზროვნების შორის ყოყმანობს დღეს გლეხკაცობა და გაბედულად ვერც ერთი მხრით ვერ გადაუდგამს თავისი ნაბიჯი. იყიდოს—შეიძლება ახლო მომავალში სანანებლად გაუხდეს, ფული გადაუყარე, მიწები ისედაც ჩვენი იქნებაო; არ იყიდოს—ეგების ესეც სანანებლად გაუხდეს, ვინაიდან შეიძლება ის სანატრელი ჟამი ერთობ დაგვიანდეს და მის მოსვლამდეს მას ტყავი გაძვრეს. ორივე შემთხვევაში იმედგაცრუებული გლეხობა გულს გაიტეხს იმ პარტიაზე, რომელიც ურჩევდა—ნუ იყიდითო ან იყიდეთო და მას როგორც მომატყუებელს ზურგს შეაქცევს“ (იხ. რჩ. ხაწ. გვ. 534).

ეი თურმე რა ალაპარაკებს ნ. ჟორდანიას! მას ეშინიან ზურგი არ შეაქციონ დასელთა პარტიას. ჩვენ კი გვეგონა გლეხთა ინტერესებმა ალაპარაკა დასელთა ბელადი, ჩვენ გვეგონა ერის მომავალმა აიძულა ეთქვა რამე! საკუთარი თავი, საკუთარი ტყავი!

ნუ მივაქცევთ ყურადღებას მოტივს, თუ რამ აიძულა დასელები სიჩუმე დაერღვიათ. საქმე ის არის, რა სთქვეს, რა ურჩიეს გლეხობას, ამ ერის საშინელ წყლულს სამალამო მოუნახეს.

„მაშ როგორ უნდა გადაიჭრას ეს კითხვა“. კითხულობს ნ. ჟორდანია. ბრძანეთ ბატონო, ბრძანეთ! მოუთმენლად გელით.

„მიწების გლეხთა მიერ შესყიდვას არც ვებრძვით, არც ვქადაგებთ. როცა გლეხები ასეთ სურვილს აცხადებენ—ჩვენ ვეუბნებით—თუ გნებავთ იყიდეთო“ (იხ. გვ. 356) გესმით? გესმით, რა ღონისძიება გამოუნახა ჩვენი ერის ყოფნა-არ ყოფნის საკითხს? ერის მომავალი ამ კითხვაზეა დამყარებული, ყოველ მხრიდან საშინელი კვილი მოისმის—„საქართველო იყიდებაო“! და ნოე ჟორდანია კი დამშვიდებულის კილოთი აღჭურვილი ბრძანებს: „მიწების შესყიდვას არ ვებრძვით, არ ვქადაგებთო“, „თუ გნებავთ იყიდეთო“.

აქაც ჩვენა ვხედავთ, რომ გლეხთა ინტერესები პარტიულ ინტერესებს ანაცვალეს.

მაშ რიღას პარტიაა, რის მიმართულებაა, რა მოძღვრებაა ის, რომ ამ რთულ საკითხისათვისაც ვერ მოუნახავს რიგიანი, გარკვეული პასუხი? აი რის პარტიაა:

„ჩვენ ვეუბნებით, ბრძანებს ნ. ჟორდანია, თუ გნებავს იყიდეთო, მარა ეცადეთ იყიდოთ, რაც შეიძლება იაფად და შეღავათებით. აი აქ ყიდვის პირობების შემუშავებაში აქტიური როლი უნდა ვითამაშოთ, რომ გლეხი მოტყუებული არ იქმნას“. დალალობასა და შუამავლობაში ჰხედავს პარტია თავის დანიშნულებას. რა არის ეს, თუ არა მისი სიკვდილი, მისი უღონობის, უილაჯობის მამხილებელი!.

განა შესაძლებელია ამის შემდეგ ითქვას ის, რაც „მერცხალმა“ ბრძანა, რომ მიწების შეძენას გლეხებს უქადაგებთო?

ეროვნულ საკითხის უარყოფამ დასელები მოჯადოებულ წრეში მოაქცია. იგი ამ მოჯადოებულს წრეს, მხოლოდ მაშინ დაახწევს თავს, თუ მთელ თავის წარსულს ჯვარს დაუსვამს. დასელების არსებობა დღეს მხოლოდ მათი უძლურების სიბრაზით და კბილთა ღრჭენით გამოიხატება. საკუთარ თავის უარყოფაზე დამოკიდებულია მისი მომავალი არსებობა.

მიხაკო.

მუშათა ცხოვრება

მბეჭდავთა კავშირი და პოლიცია.

პეტერბურგი. 17 ნოემბერს პეტერბურგში სტამბის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის ბინაზე მივიდა პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი, რომელმაც წარუდგინა დამცველ განყოფილების მიწერილობა, გამოეკვლიათ თუ ვინ იმყოფებოდა ამ ბინაზე.

რადგანაც უქმე დღე იყო, ბინაზე ოცამდე კაცი აღმოჩნდა, რომელნიც უმეტეს ნაწილად კავშირის წევრები იყვნენ, და საწევრო გადასახადის შესატანად მოსულიყვნენ.

ყველას, ვისაც საწევრო წიგნაკები აღმოაჩნდა, ჩაიწერეს და გაანთავისუფლეს. ჩხრეკის დროს მოსული ხუთი წევრი საპოლიციო უბანში გაჰგზავნეს, საიდანაც პიროვნების დამოწმების შემდეგ გაანთავისუფლეს. პოლიციამ ოქმი შეადგინა იმის შესახებ, რომ კავშირში ნებადაურთველ ყრილობა აღმოაჩინა.

აფეთქება ქარხანაში.

18 ნოემბერს შუადღისას სააქციონერო საზოგადოების „დიუფონ და ამხ.“ სამჭედლოში, რომელიც იმყოფება ლოპუხოვის ქუჩაზე, ერთი მუშა, მჭედელი ისაევი ახდენდა ბილეთების გამოცდას ახალი წესით. მან ლითონის მილი გაავსო პოტაშით და ნახშირით და ნაკვერცხლებზე დასდო, ამ დროს მოვიდა მეორე მუშა და საბერველს დასწია. საშინელი აფეთქება მოხდა. ქურა დააქცია. რამდენიმე მუშა მძიმედ დაიჭრა.

მუშების დაზღვევა.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობამ განიხილა ყველა მასალა, რომელიც ეხება ქალაქის მუშების დაზღვევის საკითხს. ქალაქის გამგეობამ საბჭოში შესაფერი მოხსენება წარადგინა. გამგეობა სასურველად სცნობს, რომ ქალაქს ყველა დარგის წარმოების მუშათათვის დაწესდება საერთო სავადმყოფო კასა, რომელზედაც გავრცელდება მუშათა დაზღვევის ახალი კანონი.

ბაქო.

ქალაქის მოურავთან მივიდა მცირეწლოვან შოფერების ჯგუფი საბირჟო და კერძო მესაკუთრეთა ავტომობილისა და სთხოვეს შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე, დასტოვონ ისინი კვლავ სამსახურში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უსაქმოდ დარჩებიან. თხოვნა გამოიწვია სავალდებულო დადგენილებამ, რომლის ძალითაც მცირე წლოვანთ შოფერობა ეკრძალებათ. ქალაქის მოურავმა უპასუხა, დახმარების გაწევა არაფრით არ შეუძლიან, რადგანაც სავალდებულო დადგენილება დამტკიცებულია საბჭოსა და გუბერნატორის მიერ.

კავკასიისა და ენზელის გზების საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის თხოვნით მეფის მოადგილემ ნება დართო მუშებს, რომელნიც იმუშავებენ ენზელი-თეირანისა გზისა და ენზელის ნავთსადგურის გაშენებაზე, გადავიდნენ სპარსეთში რუსეთის საზღვრებიდან შიდა რუსეთში საცხოვრებელ მოწმობებით. მხოლოდ მოწმობებზე უნდა იყოს აგრეთვე ენზელი-თეირანი გზის საზოგადოების გზის წარწერა.

სომეხთა ცხოვრება

ტფილისში, ბაქოში და მოსკოვში მცხოვრებ სპარსელ სომეხთა ინტელიგენტების ჯგუფს გადაუწყვეტია ტფილისში 1914 წლიდან გამოსცეს ყოველკვირეული სომხური ჟურნალი, რომელმაც უნდა დაიცვას სპარსეთის სომხების ინტერესები. ამ განძრახვის განსახორციელებლად საზოგადოება არსდება.

◆ ნოემბრის 22-ს ცეცხლი გაჩნდა ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსის სადგომში, ვანქის გალავანში. ცეცხლი გაჩნდა ეპარქიალურ კონსისტორიიდან. გადაარჩინეს არქივი და სხვა და სხვა ქაღალდები. ზარალი დიდია. შენობა დაზღვეულია 29,00 მანეთად. ეპარქიალურ უფროსის კაბინეტი სრულებით გადაიწვა.

◆ სომხური გაზ. „კოვკასი ლორაბერში“ მოთავსებულია ვრცელი წერილი, ნერსესიან სემინარიაში ქართულ ენის შემოღების თაობაზე, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „და მართლაც ღირს, რომ აღმოსავლეთის ტკბილი მომსმენი იტალურისებური-ქართული ენა ვასწავლოთ ჩვენს მოწაფეებს, რომლებიც დიდის სიამოვნებით, სრულებით დარწმუნებულნი ვართ, უნდა შეისწავლონ ფართე და მდიდარი ენა, რომელსაც, გარდა აწინდელი პატივსაცემი ლიტერატურისა, აქვს აგრეთვე უძველეს დროის პატივსაცემი ლიტერატურა, აღარას ვამბობთ სპარსულიდან გადმოთარგმნილ ნაწარმოებებსა და უნიჭიერეს შოთა რუსთაველის ზემფრენელ და ულამაზესი „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ, რომლის ცოტათი მაინც მსგავსი თხზულება ჩვენდა სამარცხვინოდ არა გვაქვთ სომხურს ენაზე“...

კონფერენცია სომეხთა საკითხის თაობაზე

17 ნოემბერს პარიზში დაიწყებდა მუშაობას საერთაშორისო კონფერენცია სომეხთა საკითხის გამოსარკვევად.

კონფერენცია მოწყობილია Comité d'asie française-ს მიერ. ამ კომიტეტში მონაწილეობენ საფრანგეთის პარლამენტის თვალსაჩინო წარმომადგენელნი. კომიტეტი კერძო დაწესებულებაა, მაგრამ დიდი გავლენა აქვს მოპოვებული და მჭიდრო კავშირი უჭირავს საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ინგლისის, საფრანგეთისა, გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიის პარლამენტის წარმომადგენელნი. მიიწვიეს აგრეთვე რუსეთის საპარლამენტოთა შორისო კავშირის ზოგიერთი წევრი. კონფერენციის სხდომები მოხდება საფრანგეთის ჯარის გენერალისიმუსად ნააყოფ გენერალ ლაკრუას თავმჯდომარეობით. კონფერენციის მუშაობა გასტანს ორ დღეს. იგი განიხილავს ოსმალეთის სომხეთის რეფორმათა პროგრამას; ეს პროგრამა არსებითად ყველა სახელმწიფომ შეიწყნარა. კონფერენცია მსჯელობას იქონიებს იმ ზომებზედაც, რომლის მიღება აუცილებელია, რათა ოსმალეთი აიძულონ რეფორმების განსახორციელებლად. კონფერენციის დადგენილებას ყველა სახელმწიფოს მთავრობას უნდა აცნობონ, კერძოდ საფრანგეთის მთავრობასაც.

—

გაზეთებში ხმები გავრცელდა, ვითომც ოსმალეთის მთავრობამ გერმანია-რუსეთის პროექტი სომხეთის რეფორმების თაობაზე შეუწყნარებლად სცნო. როგორც იტყობინებიან ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია. ოსმალეთის მთავრობას პროექტი კი არ უარუყვია, არამედ პროექტის ზოგიერთ მუხლებში შესწორებანი შეიტანაო.

ამ პროექტის თაობაზე ოსმალეთთან მოლაპარაკება დღესაც სწარმოებს.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

(დეპეშათა პეტერბურ. სააგენტო).

ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიაში.

ბეჭდვითი საქმეთა კომისიამ მიიღო მცირეოდენის ცვლილებით პროექტის ის განყოფილება, რომელიც განცხადებათა ბეჭდვის წესრიგს ეხება. კომისიის შესწორებით, წამლებ სა და ამ წამლების მოხმარებათა თაობაზე რეკლამისა და განცხადებების ბეჭვდა შეიძლება სამკურნალო დებულების წესისამებრ. ბეჭდვა განცხადებისა და რეკლამებისა, რომელნიც ვენერიულ ავადმყოფობასა და სქესობრივ სიმახინჯეს ეხება, სრულიად აკრძალულია. კომისია, განიხილა 10 მუხლი იმ განყოფილებისა, რომელშიაც აღნიშნულია ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, წიგნთა ვაჭრობისა და ასაკინძ დაწესებულებათა წესრიგი. როდესაც კომისიამ ამ განყოფილების განხილვას შეუდგა, კომისიის სხდომაზე შევიდა მილიუკოვი. მილიუკოვმა წინად კომისიას თავი მიანება. პურიშკევიჩი წამოდგა და თავმჯდომარეს წინადადება მისცა მილიუკოვს ცალკე ადგილი მიუჩინოს, რათა მან თავისდაუნებურად მონაწილეობა არ მიიღოს კამათში. როდესაც მილიუკოვმა ლაპარაკი მოიწადინა, პურიშკევიჩმა პროტესტი განაცხადა; კომისიამ მილიუკოვს ლაპარაკის ნება მისცა. კომისიამ მცირეოდენ-ს ცვლილებით მიიღო ყველა მუხლი.

სახალხო განათლების კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი დაარსდეს საგანგებო საპენსიო კასა სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის

სათათბიროს პრეზიდიუმმა სასურველად სცნო უკანასკნელი საქმის სხდომა 5 დეკემბრისთვის დანიშნოს.

სათათბიროს წევრმა მალინოვსკიმ პრეზიდიუმს განუცხადა ახალი ფრაქციის დაარსება შემდეგის სახელით „რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია“.

მოწერილი ამბები

ბერთუბან-პატარძეული (გარეკახეთი). ბერთუბან-პატარძეულში მცხოვრებთა რიცხვი 600 კომლს აღემატება. გლეხები სულ ქართველები არიან. აქამდის ბერთუბან-პატარძეული ერთ სოფელს წარმოადგენდა, წლეულს კი გაიყო და ახლა ცალ-ცალკე სამმართველოს წარმოადგენენ. მდებარეობით ეს სოფლები არ არიან გაყოფილები და მცხოვრებნიც არეულნი არიან. კარგმა მოსავალმა, როგორც პურისამ, ისე ღვინისამაც, ხალხი კარგ გუნებაზე დააყენა. სწავლა-განათლებას დიდის პატივისცემით ეკცევიან. ყველა სცდილობს ასწავლოს შვილს, „ქვეყანაში გამოიყვანოს“. ამ ჟამად ბერთუბანში ერთი სამრევლო სკოლაა და პატარძეულში კი ორი სამინისტრო. შეგირდები ბლომად არიან და ბევრიც სკოლის გარედ დარჩა. სამი მღვდელი, ოთხი მასწავლებელი და სხვა შეგნებული აზნაურიშვილები და თავადი საკმაო ძალას შეადგენენ რომ საერთო საქმე წინ წასწიონ. ბერთუბან-პატარძეული ერთი იმ სოფელთაგანია, რომელიც, თუმცა საკმარისი ინტელიგენციით არის აღჭურვილი, მაგრამ ჯერ ბევრს, ძალიან ბევრს რამეს არის მოკლებული. ყველა თავისთვისა ზრუნავს, ყველას თავისი თავი აგონდება. თუ ჩამოუგდე ლაპარაკი სამშობლოზედ, ხალხზედ, ენაზედ, განათლება-განვითარებაზედ, კამათში პირველს ადგილს დაიჭერენ და თუ სთხოვე რაიმე საქმის გაკეთება, რაც სოფელს შეხება, ყურსაც არ შეიბერტყავენ. რით აიხსნება ეს მოვლენა? ვის უფრო ძალითა სძინავს, სოფელს თუ მის „ხელმძღვანელ“ ინტელიგენციას?

პატარძეულ-ბერთუბანში ქართული ჟურნალ-გაზეთის ხსენებაც კი არ არის. სკოლებში არც ერთი საყმაწვილო ჟურნალი არ არის გამოწერილი... თითონ მღვდელ-მასწავლებლებს ან „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ი, ან „ზაკავკაზიე“, ან „ნივა“ და სხვა... რუსული გაზეთები მოსდით. ხშირად მკითხია: „რატომ ქართულს გაზეთს არ იწერთ მეთქი?“—ქართული ისეც ვიცი, არც დამავიწყდება და რუსული კი თუ არ ვიკითხე, დამავიწყდებაო!...

რამდენიმე წელიწადია რაც საკრედიტო ამხანაგობა დაარსდა. ამხანაგობამ ს.-დ—ული გაზეთი გამოიწერა. ის გაზეთიც მალე დაიკეტა ერთს მშვენიერ დღეს ქართული გაზეთის მაგივრად „ზაკავკაზსკაია რეჩი“ მიიღო... „რათ? როგორ?“ წამოიძახეს წევრებმა და გაჩუმდნენ... ვერ მოახერხეს რომ რუსული ქართულ გაზეთით შეეცვალათ.

სადღაა წინანდელი სამკითხველო, მისი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები?.. დღეს სამკითხველო, რომელსაც მშვენიერი შენობა აქვს დათმობილი, უკანასკნელს მდგომარეობაშია. იგი დაკეტილია და არავინა ზრუნავს მის განახლებაზე,

ასეთ მდგომარეობაშია ბერთუბან-პატარძეული, ტფილისს 40 ვერსი დაშორებული! სოფელს აკლია წყალი... თუმცა წყაროებით მდიდარია, მაგრამ წყლის გაყვანა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს... წლეულ ბერთუბნელებიც ბევრსა სცდილობდნენ, მაგრამ რას გააწყობენ გლეხები, როცა ხელმძღვანელობას არავინ უწევს.

უცხო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 24 ნოემბერს, ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იყო ი. გედევანიშვილის ცნობილი დრამა „მსხვერპლი“. არის ხოლმე ნაწარმოები, რომელშიაც, რაც უფრო მეტჯერ წაიკითხავს მუდამ ჰპოულობს კაცი რაიმე ახალს, საინტერესოს. ი. გედევანიშვილის დრამაც სწორედ ასეთი ნაწარმოებია, რომ მისი მაყურებელნი, მუდამ ჰპოულობენ შიგ რასმე ახალს საინტერესო განცდას. გასაკვირია, რომ ხალხი მუდამ ბევრი ესწრება ამ დრამას. იგი ჩვენი ტანჯულ-წამებული ცხოვრების წიგნიდან ერთი ფურცელია ამოგლეჯილი, რომელიც ასე ახლო განიცადა ყოველმა ჩვენგანმა, ამიტომ მუდამ იწვევს ჩვენში დრამის გმირები მხურვალე თანაგრძნობას მაგრამ გავა დრო, კარგა დიდი მანძილი დაედება შუა ჩვენსა და შემდეგ თაობას, რომელიც ეგრევე დააფასებს ამ საუცხოვო ნაწარმოებს, აგრეთვე აღტაცებით მიეგებება მას. ეს იქნება, რადგანაც პიესის საისტორიო-სალიტერატურო მნიშვნელობა დიდია, მასში სინამდვილით არის გამოხატული ჩვენი ცხოვრების ერთი საარაკო ხანა, ის ნამდვილი ისტორიაა ამ ხანისა მხატვრულად გადმოცემული. ამიტომაცაა რომ ხალხი დრამას აუარებელი ესწრობა, როდისაც უნდა დაიდგას იგი. ისევე მაგალითი საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რომ ხალხი სიამოვნებით იარს ქართულ თეატრში, ოღონდ კი მიეცეს მას საღი სულიერი საზრდო, ისევ ჩვენი ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი და აღმოცენებული.

გ. იმხნელს (გიგუა) სამართლიანად სთვლიან ამ როლის საუკეთესო შემსრულებლად. მართლაც, ეს როლი მის რეპერტუარში საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. გრძნობა, ხმა, მიმიკაც და მიხვრა-მოხვრაც ხელს უწყობს გიგუას ტიპის გაპიროვნებას. უკანასკნელ მოქმედებაში ისე უნაკლოდ გადმოგვცემს ხოლმე ტანჯვაში და სინიდისის ქეჯნაში მყოფ გლეხის ფსიხოლოგიას, რომ დამსწრენი აღტაცებაში მოჰყავს, გუშინწინ იგი განსაკუთრებულის გატაცებით თამაშობდა; პირველად ჩვენ გვეგონა, რომ მას გადაავიწყდა. თუ სცენაზე იყო; ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

საუცხოვო იყო ქ-ნი დავითაშვილი ნატოს როლში. მეტად ძნელია ინტელიგენტ მსახიობთათვის სოფლური ტიპის გამოსახვა. ქცევა, ლაპარაკის კილო, უეჭველად ამჟღავნებს მასში ქალაქელს—მსახიობს. ქ-ნ დავითაშვილს ბევრი უმუშავნია. ამიტომ შესძლო სოფლის ქალის ფსიხოლოგიის გამოსახვა და მშვენიერი მთლიანი ტიპის შექმნა. მას როგორც იმხნელს ოვაციები ხვდა წილად. ვ. აბაშიძე — საქულას როლის საუკეთესო შემსრულებელია. ამ საღამოს კი ცუდი ტონით დაიწყო და პირველი ორ მოქმედებას გარეოების გავლენით ცოტა სიცოცხლე აკლდა. ვანუას როლს იმედაშვილი ასრულებდა. რასაკვირველია, ნიჭიერმა მსახიობმა კარგად შეასრულა როლი, მაგრამ მის მიერ განსახიერებული ტიპი უფრო ქალაქელსა ჰგავდა ვიდრე სოფლელ ტლუ ვაჟსა.

ამ საღამოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სცენაზე პირველად გამოვიდა ბ. გამყრელიძე. როგორც ყოველთვის, ამ საღამოსაც მან მშვენიერი მხატვრული ტიპი განასახიერა მოხუც გაბუასი, რომლის მოხუცი გული სავსეა კეთილმშობლიური გრძნობებით და სულისკვეთებით.

მეორე ხარისხოვან როლების შემსრულებელთაგან მშვენიერი მხატვრული ტიპები დაგვისურათეს ქ-ნმა ჯავახიშვილმა (ვანოს დედა), ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა (კნეინა), ბ-ნმა ზარდალიშვილმა (ბოქაული), ქ-ნმა მდივანმა (კნიაჟნა) და სხვანი. გუნია (თავადი) ამ საღამოს უგუნებოდ იყო. თამადა—თავადისაგან არის დამოკიდებული მეორე მოქმედების სიცხოველე. გუნია კი ამ საღამოს გუნებაზე არ იყო. ანსამბლი ძლიერ კარგი იყო. პიესა კარგად იყო დადგმული.

ზოგიერთი შენიშვნები რეჟისორს. პირველ მოქმედებაში ისე უეცრად გამოიცვალა ბნელი უკუნეთი ღამე დილით, რომ რიჟრაჟი არც კი იყო. გარდა ამისა სტატისტები აჭარბებენ. ძაღლების ყეფვა, საქონლის ბღავილ-ზმული, ჟრიამული, ჟივილ-ხივილი, ძახილი, სიმღერა, ყველაფერი ეს ისე ერთად არის შეჯგუფული, რომ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, გადაჭარბებულია. მასიური სცენები არ არის კარგად მოწყობილი, გადამეტებული ყვირილით და ჩოჩქოლით, სტატისტები ხშირად უშლიდნენ მსახიობებს. გარდა ამისა ვანუას დედის შემოსვლისას ფარდა, რომ მალე დაეშვას, უკეთესი იქნება; რადგან მისი გულსაკლავი ტირილი მხატვრულ ელფერს აკარგვინებს ამ ადგილს. მეორე მოქმედებაში გაჭიანურებულია პაუზები, სუფრის გაშლა და აალაგება, აგრეთვე ქეიფი და სადღეგრძელოები. უეჭველად საჭიროა სიმარჯვე. თავადის ოთახში, როგორც სანთელი აანთეს, უკანა ფარდა, რომელიც ცას გამოხატავდა ერთიანად განათდა, რამაც შთაბეჭდილება გააქარწყლა. სახლის გვერდზე მდგარ ხიდან და აგრეთვე დეკორაციებიდან ვილაცეების თავები იყო გამოყოფილი და სხვა. საჭიროა კულისებიდან ხალხის გაყვანა წარმოდგენის დროს, რათა პარტერის მაყურებლებმა კულისებში მყოფთ თავები არ დაინახონ. მსახიობები ხანგრძლივი ოვაციებით გააცილეს. ბევრჯერ გამოუძახეს ავტორს, მაგრამ მან სცენაზე გამოსვლა არ მოისურვა. გამოიწვიეს აგრეთვე რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

მელანი.

—

სახალხო სახლი. შაბათს, 23 ნოემბერს, სახალხო წარმოდგენების მართველთა წრემ წარმოადგინა გოგოლის ხუთმოქმედებიანი კომედია „რევიზორი“. არა ერთხელ და ორჯერ აღგვინიშნავს გაზეთის ფურცლებზე სცენის მოყვარეთა იშვიათი მუყაითობა და ენერგია, არა ერთხელ უქიათ ბ. წუწუნავას სარეჟისორო ნიჭი. მაგრამ, რასაც შაბათს სახალხო სახლში ადგილი ჰქონდა, ეს მოლოდინს აღემატება. სცენის მოყვარეთა ქალებმა სავსებით სძლიეს რთული კომედია, სავსებით შეითვისეს იგი. ყოველივე წვრილმანი, ყოველი უბრალო და უმნიშვნელო მოქმედება ხელს უწყობდა ილიუზიის შექმნას. რასაკვირველია, ეს რეჟისორის გულმოდგინებას და ნიჭს უნდა მიეწეროს. პიესა სასტიკი რეალიზმის დაცვით იყო დადგმული. ცალკე მოთამაშეთა ღირსებას არ შევეხებით, არც არის საჭირო, რადგანაც „რევიზორში“ არ არის ისეთი განსაკუთრებული ტიპი, რომელიც დანარჩენებს ჰჩრდილავდეს. იქ გოროდნიჩიდან დაწყებული უსიტყვო და მუნჯი ექიმამდე ან უსიტყო სტუმრებამდე, ყველა გმირია. სიამოვნებით უნდა ვსთქვათ, რომ პიესა იშვიათის ანსამბლით ჩაატარეს. ხოლო არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ახალგაზრდა სცენისმოყვარე ბ. ჭანკვატაძის თამაში. მან შეასრულა ხლესტაკოვის როლი და სიმართლე უნდა ვთქვათ, პირნათლადაც შეასრულა. ხლესტაკოვის როლს ალლო აუღო, ბ. ჭანკვატაძე უკვე დახელოვნებული მოთამაშეა.

მონაწილეობდნენ აგრეთვე ტასო აბაშიძე (გოროდნიჩის ქალი) და კ. ყიფიანი (ოსიპი). წარმოდგენას ხალხი აუარებელი დაესწრო და ფრიად ნასიამოვნები დაიშალა შინაარსიანი პიესისა და ხელოვნურ თამაშის ნახვით.

მუშლი.

—

ჭიათურა. შაბათს, 16 ნოემბერს, ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, გამართა პირველი სახალხო წარმოდგენა, რაც დიდად სასიამოვნო მოვლენაა. წარმოადგინეს დ. ერისთავის „სამშობლო“. ფასები 5—50 კ. იყო, რის გამოც დარბაზი გაჭედილი იყო მუშებითა და მოსწავლეებით. პირველი მოქმედება ცოტა სუსტად ჩაატარეს. ცოტა ელფერი ბ. მაჭარაძემ (სვიმონი) და ბ. აბდუშელმა (დიმიტრი) მისცეს. დასრულდა მოქმედება. პიესა ყველას მოსწონს. მეორე მოქმედების დაწყებას მოუთმენლად მოელის ხალხი.

მეორე მოქმედებაში თავი ისახელეს: ქ-ნმა კილარჯიშვილმა (ქეთევანი) და ბ. მურუსიძემ (ლევანი). მესამე მოქმედებაში ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ქ-ნმა ლოლუამ (ფაიხოში). სამწუხაროდ ძალიან სუსტი ამსრულებელი ჰყავდა შაჰის რთულ როლს, რის გამოც ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტათ ჩაიარა ყველა ის სცენები, სადაც უმთავრესი ადგილი შაჰს უჭირავს. ქეთევანის ღალატი ძლიერ ცუდ შთაბეჭდილება ახდენს ხალხზე და უკმაყოფილებას გამოსთქვამენ მოქმედების დასრულების შემდეგ.

მეორე მოქმედებაში ღალატით შაჰის ციხეზე თავდასხმა, სადაც ქართველი მებრძოლნი საომრად ემზადებიან, ძლიერ აღშფოთებას იწვევს, ხოლო ბრძოლა თავდამსხმელებთან კი აღფრთოვანებას. ლეონიძის სიტყვები „გაუმარჯოს საქართველოს", იწვევს გულის სიღრმიდან ამონახეთქ გამოძახილს: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს"-ო. ეშვება ფარდა და მთელი დარბაზი გლოვის ნიშნათ სამარისებურად სდუმს.

მეხუთე მოქმედებამ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ: ქ. ქილარჯიშვილი, ლოლუა, მურუსიძე და ზ. მაჭარაძე.

საუცხოვოდ ჩაიარა მეექვსე სურათმა მოედანზე. მშვენიერი იყო ტკბილი გალობა, რომელიც გვიხატავდა საწამებლად გამზადებულ გმირ-მამულიშვილთა სულის-კვეთებას. ამ სურათის დასრულებამაც მთელ დარბაზში მდუმარება გამოიწვია.

მეშვიდე სურათმაც მოხდენილად ჩაიარა. ქეთევანის სიკვდილით დასჯამ და ლევანის გმირულად თავის განწირვამ ხალხში აღფრთოვანება გამოიწვია. პიესამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა და რეჟისორის შრომაც სჩანდა.

წარმოდგენით ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა. სასურველია რომ ასეთ სახალხო წარმოდგენებს ხშირად მოაწყობდეს დრამატიულ საზოგადოება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტრაქტები მეტად გაჭიანურებული იყო, რის გამოც წარმოდგენა ღამის ორ საათამდე გაგრძელდა. **იტი.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

24—25 ნოემბერი.

უცხოეთი.

ლონდონი. მეფის ბრძანებით აკრძალულია ირლანდიაში იარაღისა და საომარ სურსათის შეტანა. როგორც გამოირკვა, ამ ბოლო ხანში ირლანდიაში დიდძალი იარაღი და საომარი სურსათი შეუტანიათ.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატაში ტისამ საგარეო პოლიტიკის თაობაზე ილაპარაკა. ტისა უარჰყოფს, ვითომც მონარქიის მიერ მიღებული ზომები, ბალკანეთის ამბების გამო, ადამიანის მსხვერპლს მოითხოვდეს. არც ისა ყოფილა მართალი, თითქოს ჯარისკაცნი უკმაყოფილონი ყოფილიყვნენ ჭამა-სმითა და მოვლით. რაც შეეხება ჰუნგრეთის პოლიტიკას რომ იგი ერთა წინააღმდეგ არის მიმართული და ხელს უშლის რუმინიასთან შეკავშირებასო, ტისამ სთქვა: რუმინელები ჰუნგრეთში დევნას არ განიცდიანო. ჰუნგრეთის რუმინელთა ბედს რუმინიის საგარეო პოლიტიკაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვსო; ჰუნგრეთისა და რუმინიის მიზანი ერთია: ევროპის თავისუფლებისა და მშვიდობიანობის დასაცავად ბრძოლა სლავიანობასთან. მთავრობა თავის დღეში არა სდევნიდა რუმინელებს და ჰფიქრობს კვლავაც ასეთი პოლიტიკა აწარმოვოს.

კამათი დასრულდა. დროებითი ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს.

ლონდონი. ასკვიტმა მანჩესტერში სიტყვა წარმოსთქვა; გონიერ და პატიოსან მშვიდობიანობისათვისო,— სთქვა ასკვიტმა, კარი არასოდეს არ დაგვიხშვიაო. ასკვიტის აზრით, შეუძლებელია ისეთ ღონისძიებათა მიღება, რაც ირლანდიის სრულ გამოყოფვას გამოიწვევს. საჭიროა დაცული იყოს იმპერიის პარლამენტის უმაღლესი კონტროლიო.

ასკვიტის სიტყვას მშვიდობიანი კილო ჰქონდა.

რომი. პალატის უკანასკნელი სხდომა არაჩვეულებრივი იყო: ოპოზიციამ ძლიერი იერიში მიიტანა მთავრობასა და უმრავლესობაზე. ალტოშელმა სთქვა: 228 დეპუტატმა კათოლიკეთა კავშირის პრეზიდენტთან ერთად პირობას ხელი მოაწერა; ეს დეპუტატები პალატაში ლიბერალთა დროშის ქვეშ და კლერიკალთა დახმარებით გავიდნენ. ალტობელის სიტყვამ საშინელი ხმაურობა გამოიწვია მემარჯვენებისა და ცენტრისა. ალტობელი ნათქვამის დასამტკიცებლად მრავალ საბუთს აღნიშნავდა. პარლამენტის წრეებში ალტოშელის სიტყვას დიდ მნიშვნელობას აწერენ. შესაძლებელია, ალტოშელის საბუთებმა დიდი გავლენა იქონიოს კომისიაზე, რომელიც დეპუტატთა რწმუნებულობას შეამოწმებს.

ბელგრადი. მინისტრთა საბჭოს წარუდგინეს 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, 230 მილიონის ბალანსით; სამხედრო ხარჯთათვის პროექტში 70 მილიონია შეტანილი.

ტოკიო დამოუკიდებელ გაზეთთა უმრავლესობა სიამოვნებით აღნიშნავს მთავრობის დადგენილებას—არ შეიტანონ 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ორი დივიზიის მოსაწყობი ხარჯი.

ბრაიანი (თეხასის შტატი). ქალაქში წყალდიდობაა. დაიღუპა 50 კაცი, განსაკუთრებით, ზანგები.

პეკინი. როგორც ხმები დადის, მანუსის გენერალმა მაანიანმა ადგილობრივი მაჰმადიანები ცენტრალურ მთავრობას აუმხედრა. მაანიალის ჯარში 20,000 კაცია.

პარიზი. პუანკარემ წინადადება მისცა დუმერგუს, ახალი კაბინეთი შეადგინოს. დუმერგუ ხვალ უპასუხებს.

პარიზი. დიუპიუიმ ჟურნალისტებს განუცხადა: იძულებული ვიყავი კაბინეთის შედგენაზე უარი მეთქვა, რადგანაც სხვა და სხვა ჯგუფის ბელადებთან თანხმობა ვერ ვპოვეო.

ბუდაპეშტი. ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტის საწინააღმდეგოდ მოხდა სოციალ-დემოკრატების ათი კრება. ერთ კრებაზე შეტაკება მოხდა პოლიციელსა და კრების მონაწილეთა შორის. პოლიციელი იძულებული იყო გაქცეულიყო. დემონსტრანტებმა სროლა აუტეხეს პოლიციელებს. მსროლელნი შეიპყრეს.

ბერლინი. მეფემ ბრძანება გასცა, გადაიყვანონ ცაბერნიდან ქვეითა ჯარის მე-99 ლაშქარი. ელზას—ლორენის პრესა ამის გამო სხვადასხვა აზრს გამოსთქვამს. ზოგიერთის აზრით ლაშქარის გადაყვანა ცაბერნიდან ნივთიერად აზარალებს ქალაქს. ზოგნი კი სინანულს გამოსთქვამენ, რატომ ამ ზომას ადრევე არ მიჰმართეს, ვიდრე უსიამოვნო ამბავი მოხდებოდაო.

ათინა. საერთაშორისო კომისიის წევრნი რომელსაც მინდობილი აქვთ სამხრეთ ალბანეთის გამიჯვნა აგიროკასტროში გაემგზავრნენ.

ლეიჩესტერი. 22.000 ფოსტის მოხელეთა დელეგატებმა დაადგინეს, დაბეჯითებით მოითხოვონ ჯამაგირის 15 პროც. მომატება. დელეგატებმა გადასწყვიტეს ფოსტის მოხელეთა კონგრესი მოიწვიონ. კონფერენცია მოითხოვს დაარსონ ისეთი საგანგებო ბიურო, რომელსაც თანაბარი უფლება ექნება ფოსტა-ტელეგრაფის სამართველოსთან. ბიუროს სამსახურის პირობებისა და ჯამაგირის მომცემის საქმის გამგებლობა დაევალება. მცირე ხმის უმეტესობით კონფერენციამ ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის გამოცხადება უარყო.

სოფია. სლივნაში არჩევნების წინასწარ კრებაზე ბობჩევმა სიტყვა წარმოსთქვა: მან დაწვრილებით გამოარკვია რუსეთის როლი ბალკანეთის საქმეებში. რუსეთიო, სთქვა ბობჩევმა, ფრიად აფასებდა ბალკანეთის კავშირს, როგორც სლავიანობის იდეალს და მის განვითარებისა და წინსვლის თავდებს. რუსეთისთვის მთავარი ძალა ბალკანეთში იყო და არის ბულგარეთი, არბიტრაჟის არასასურველმა შედეგმა საზრდო მისცა ანტისლავიანთა პოლიტიკას. ოსმალეთთან ომის დროს რუსეთი თანაგრძნობით ეკიდებოდა ბულგარეთს და სცდილობდა რუმინია შეეკავებინა, მაგრამ ამასთანავე რუსეთმა გადაჭრით განაცხადა, თუ ვინიცობაა ურთიერთშორის მოხდა ომიო, იგი გულგრილად დაჰხვდება ოსმალეთის და რუმინიის შემოსევას ბულგარეთშიო. ამის და მიუხედავად რუსეთმა დიდი შრომა გასწია, რათა ოსმალონი შეეკავებინა, და თუ მან მეტი არ გააკეთა, ბულგარები არ უნდა სწყრებოდნენ, ისევე როგორც არ უნდა სწყრებოდეს რუსეთი, როდესაც ბულგარეთი თვის დამოუკიდებელ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებსო. მომავალში ბულგარეთი მხოლოდ თავის ინტერესებისთვის იზრუნებს, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ინტერესებს, არამედ მათთან შეთანხმებული უნდა იყოსო. სამთა შეთანხმებასთან საჭიროა მეგობრული პოლიტიკა ვაწარმოოთო, დაათავა ბობჩევმა.

პარიზი. დუმერგმა მინისტრებად მიიწვია კაიო და ვივიანი; უკანასკნელნი დასთანხმდნენ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მინისტრ-პრეზიდენტად და საშინაო საქმეთა მინისტრად იქნება დუმერგი, გარეშე საქმეთა მინისტრად—რიბო ან დელკასე, იუსტიციისა—ჟან დიუპუი, სამხედრო მინისტრად—გენერალი დუბაილი, საზღვაო—ნუდანი, სახალხო განათლებისა—ვივიანი, ფინანსთა მინისტრად—კაიო. გადაჭრილ პასუხს დუმერგი პუანკარეს ხვალ შეუთვლის.

სოფია. პირველად მოხდა პროპორციონალური სისტემით სახალხო კრების არჩევნები. შედეგი ხვალ გამოირკვევა.

პარიზი. ჰავასის ცნობით, რიბომ გარეშე საქმეთა მინისტრობაზე უარი განაცხადა. დუმერგს აზრადა აქვს ეს ადგილი დიუპიუს შესთავაზოს: კლემანსომ დუმერგს კაბინეთის მხარის დაჭერას აღუთქვა, პორტფელის მიღებაზე უარი სთქვა.

ვენა. ასოთ-ამწყობთა და მესტამბეთა მოლაპარაკება მორიგებით ვერ დამთავრდა. ბრძანება გასცეს დაითხოვონ სამსახურიდან ავსტრიის სტამბების ყველა ასოთ-ამწყობნი.

რუსეთი.

ჰელსინგფორსი. გაზეთ „ვიშორსნიხტერ"-ის რედაქტორებს ვიბორგის სიმაგრის უფროსმა მიწერილობა გაუგზავნა, სამი დღის განმავლობაში ვიბორგი მიატოვოს, სიმაგრის უფროსი ემყარებოდა ციხე-სიმაგრეთა მართველობის დებულებათა 73 მუხლს.

პეტერბურგი. პეტერბურგში დაბრუნდნენ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე კოკოვცევი და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი.

მოსკოვი. კორისტოლოვის გრილ საწყობში დინამის მანქანა აფეთქდა. მემანქანე და მისი თანაშემწე დაიღუპა.

პეტერბურგი. ობუხოვის ქარხნის მუშათა გაფიცვა ერთ კვირაზე მეტი გრძელდება; გაფიცვა თან და თან მწვავდება. ქარხნის ადმინისტრაციამ მუშებს წინადადება მისცა მუშაობას შეუდგნენ და მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული იქნებაო; მუშებმა უარი განაცხადეს. ისინი მოთხოვენ მოთხოვნილებათა წინასწარ დაკმაყოფილებას.

ნოვოჩერკასკი. აგრონომთა კრებამ სურვილი გამოსთქვა, სახელმწიფო ბანკმა ელევატორებით სარგებლობის დროს უპირატესობა ალაფებსა და კოოპერატივებს მისცეს.

პეტერბურგი 22 ნოემბერს, როცა მესამე ნომრის სამგზავრო მატარებელი ჩრდილო-დასავლეთის ლიანდაგზე ოსტროვის სადგურს მიუახლოვდა, საშინელი აფეთქების ხმა გაისმა, სატორმუზო მილები დასკდა, მატარებელი შეჩერდა. მატარებელის მოსამსახურენი და მგზავრნი შეშინებულნი ლიანდაგზე გამოცვივდნენ. მესამე კლასისის ვაგონზე მოსჩანდა ბოლი. ნახეს ამ ვაგონის უკანა ნაწილი მთლად სისხლით მოთხუპნული. იქვე იპოვნეს მთლად დამახინჯებული და დასახიჩრებული გვამი, გვამის თავი ვერ იპოვეს, ფეხები ცალკე ეგდო. გვამის გულმოდგინე შემოწმების შემდეგ იპოვნეს მეზღვაურის ფარაჯის ნაგლეჯები ბალტიის პირველ ფლოტის ბეჭდით. სხვა მგზავრი არავინ დაშავებულა. გამოირკვა, რომ იგი ყოფილა ბალტიის ფლოტის მეზღვაური უნტეროფიცერი, გვარად სემიონოვი. იგი გასულა უკანა ვაგონში და ფანჯარიდან ყუმბარის გადაგდება სდომებია, მაგრამ ამ დროს მისახვევში მატარებელი შექანებულა და სემინოვს ყუმბარა ხელიდან გაჰვარდნია, ყუმბარა გასკდარა. ყუმბარა ლაბორატორიაში ყოფილა მოპარული.

დამშეულთა სასარგებლოდ

ქუთაისის გუბერნიის მოუსავლობისაგან დამშეულ მცხოვრებთა სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი:

1) ბლაღ. მღვდ. იოაკიმე გორგაძისაგან 10 მან.; 2) თ. მარუაშვილისაგან—10 მან.

წერილი რედ. მიმართ

ხელის მომწერთაგან ხშირად მოგვდის შეკითხვა, თუ როგორი იქნება ჩვენი ახალი გამოცემა, ტექსტი გაწმენდილი იქნება ჩანართი ადგილებისაგან თუ არაო? ამგვარ შეკითხვაზე მაქვს პატივი მოვახსენო პატივცემულ ხელის მომწერლებსა და აგენტებს, რომ დღევანდელი „ვეფხის ტყაოსნის" რედაქციები თითქმის ყველა შეუწყნარებელი უაზრობით და გაუგებრობით არის სავსე, ბევრის აუცილებლად საჭირო ადგილის გამოკლების გამო, და ნამდვილი ვეფხის ტყაოსანი საჭიროებს შევსებას და გადიდებას იმ ხელ-ნაწერების მიხედვით, რომლებიც ბევრად უფრო სარწმუნო და პატივსაცემია, ვიდრე ვახტანგის რედაქცია, და ჩვენი მთავარი პრინციპიც ეს არის.

გამოცემის რედაქტორი **ი. აბულაძე.**

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთით საშუალებით შევეკითხო „ახალი აზრის" რედაქციას, რატომ არ უგზავნის ყვარლის წიგნსაცავ-სამკითხველოს გაზეთს, რომელიც გამოვიწერეთ ივლისის დამდეგს და ფულიც, 2 მანეთი, გამოუგზავნეთ.

ყვარლის სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით **გახო ხარტიშანაშვილი.**

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ვარდის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება
ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711".



ნაჭერი 25 კ.
ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულგენსისა.
1506 პარფიუმერია კელნი, რიგა.
Метцдь. 357961.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო სადღ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, სამგ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სამ. დილ. 8 ს. 2 წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: სამგ. № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: სამ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23. საბარგ.-სამგზ. საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, სამგ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საფოსტო 7 საათსა და 32 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის საავადმყოფოები

[illegible]— პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ბარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, ხოლო საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ზ. ა. ნავასარდიანცი 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. [illegible] 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ს. ტ. მუღლანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისა, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. აგეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანცი.**
1004

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე— მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი პ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. ი. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიკის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკის მოედანზე.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი **№ 8.** მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. ათეთოხიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **ვ. ლ. კიკალიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი
ძმ.
ქეგველოვები.
ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით ჩიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
1560

Верійская парная баня

ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ
ზ. ი. აბრამაშვილის
აბანოში
—◆ ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში ◆—
ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.
საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. **ცივი** და **ცხელი დუში** სათავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. **ვანები** აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკმახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

„გამოცემა სორაპანისა"
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული
კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 40 კაპ.
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზად.
სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ
—◆ **ფასი 20 კაპ.** ◆—
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი"
1592.

—◆ **გამოსულია და იყიდება** ◆—
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.